SKYMAX GEORGIA

KIEHL die saubere Lösung

Kiehl-Legnodur-brillant

ბზინავი, ერთკომპონენტიანი, გრძელვადიანი დამცავი საფარი

თვისებები

პოლიურეთანის დისპერსია ლითონის მარილების და პლასტიფიკატორების გარეშე, შრება ლაქის ეფექტით. მყარი ნივთიერებების მაღალი შემცველობა ქმნის ცვეთამდგრად, ადვილად გასუფთავებად დამცავ ფენას. დამცავი ფენის მეორადი მოვლა ხორციელდება მშრალი წმენდის შემდეგ. დამცავი ფენის მოცილება ღრმა სველი წმენდის შედეგად შეუძლებელია.

შემადგენლობა

პოლიმერული დისპერსია, პოლიეთილენის ცვილები, წყალში ხსნადი გამხსნელები, კონსერვანტები(მეთილიზოთიაზოლინონი, ბენზიზოთიაზოლინონი
pH (კონცენტრატში): დაახლ. 8

გამოყენების სფერო

გამოიყენება ზეთებით (მაგ., Kiehl-Eco-Refresher) ან ჰერმეტიზირებული საშუალებებით დამუშავებული ბუნებრივი ხის იატაკის დასაცავად. ასევე, ელასტიური იატაკებისთვის, რომლებიც ექვემდებარებიან დამცავი საფარის დატანებას. არ არის შესაფერისი გამხსნელების შემცველი ცვილით დამუშავებული ზედაპირებისთვის.

გამოყენება

პირველ გამოყენებამდე შეამოწმეთ დასამუშავებელი მასალა გამძლეობაზე, დაიტანეთ პროდუქტი მცირე რაოდენობით შეუმჩნეველ ადილას. სრულყოფილი შედეგი გარანტირებულია მხოლოდ სუფთა, თავისუფალ და პროფესიონალურად მომზადებულ ზედაპირებზე.

ზედაპირების მომზადება:

პარკეტის იატაკი (ზეთოვანი, ჰერმეტიზირებული, დამცავი საფარის მქონე) პროდუქტის დატანებამდე უნდა გაიწმინდოს მშრალი წესით ერთდისკიანი მანქანის გამოყენებით (Kiehl-Legno პადი).
მოაცილეთ წმენდის პროცესში წარმოქმნილი მტვერი. ახალი ელასტიური იატაკები, რომლებიც ექვემდებარებიან დამცავი საფარის დატანებას, ინტენსიურად უნდა გაიწმინდოს Torvan-Konzentrat-ის გამოყენებით (100 მლ 8 ლ წყალში).
დამცავი საფარის მქონე იატაკის ზედაპირებზე აუცილებელია დამუშავდეს ღრმა წმენდის მეთოდით, მაგალითად, Veroclean-ის გამოყენებით (3 ლ 8 ლ წყალზე).
Kiehl-Legnodur-ით უკვე დაფარულ ელასტიურ ზედაპირებზე საჭიროა ჩატარდეს მშრალი წმენდა Kiehl-Legno პადის დახმარებით.

ხის და პარკეტის იატაკების მოვლა

დამცავი საფარის დატანება:

დაასხით იატაკზე დაახლოებით 300 მლ. განუზავებელი Kiehl-Legnodur-brillant და თანაბრად გადაანაწილეთ თხელი ფენით 10 m^2 -მდე ფართობის ზედაპირზე ბრტყელი მოპის გამოყენებით. წასმისას არ დატოვოთ მშრალი ადგილები (ზოლები). იატაკის ტექსტურიდან გამომდინარე აუცილებელია 1-2 ფენის დატანება ინტერვალებით 90 წთ. მხოლოდ გამშრალი ფენები ქმნიან ცვეთამდეგ დამცავ საფარს.

სამუშაოების ბოლოს ინვენტარის გასაწმენდი საშუალება - წყალი.

მწარმოებელი პასუხს არ აგებს პროდუქტის არასათანადო ან არაკვალიფიციური გამოყენების შედეგად წარმოქმნილ ზარალზე.

27.04.2018

18.04.2018

მოხმარება 1 m^2-ზე: დამცავი საფარი: 30 მლ თითოეულ ფენაზე

BLAUER ENGEL DAS UMWELTZEICHEN
www.blauer-engel.de/uz12a

მოარიდეთ ბავშვებს. არ გამოიყენება გასაფრქვევად. სახეხი სამუშაოებისას გამოიყენეთ მტვრის ფილტრი P2. მოერიდეთ პროდუქტის გამოყენების დროს საკვების, სასმელის მიღებას და მოწევას. თვალებთან ან კანთან კონტაქტის შემთხვევაში დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ წყლით. მუშაობის და შრობის დროს აუცილებელია კარგი ვენტილაცია. სამუშაოს დასრულების შემდეგ ხელსაწყოები გარეცხეთ წყლისა და საპნის გამოყენებით. არ დაუშვათ მოხვედრა კანალიზაციაში, წყლის სისტემასა და ნიადაგში. თხევადი ნარჩენების გადაყრა შეიძლება ძველი ლაქების შეგროვების წერტილებში. შეიცავს: 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3, 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3 (2H).

მხოლოდ პროფესიონალური გამოყენებისთვის!

შეფუთვა

2 კანისტრი x 5 ლ ყუთში არტ. № j 22 07 05 **მოარიდეთ ყინვას!**

www.kiehl-group.com